წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — კვირა, 3 იანვარი 1916 წ. — № 2

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

---

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1916 წ. წელიწადი მეორე — 1916 წ. წელიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელ ის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

### პ რ ე მ ი ე ბ ი:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

---

რევაზ და ვასილ როსტომის ძენი ყიფიანები, ნინო როსტომის ასული მუსხელაშვილისა, მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილისა, სოფიო როსტომის ასული მესხიშვილისა და ანნა ნიკოლოზის ასული ყიფიანისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოთხს იანვარს, დილის ათ საათზე, მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე ნიკოლოზის ასულის
ყ ი ფ ი ა ნ ი ს
სულის მოსახსენებლად.

ორშაბათს 4 იანვარს, თბილისში კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარისა და უდროოდ გარდაცვალებულისა ინჟინერ—აღმშენებელისა

ივანე (ვანიჩკა) ლაზარეს ძის
ტურიაშვილისა

რასაც გულმოკლული ძმა ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე ტურიაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებს, ნათესავთ და ნაცნობთ.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული
„მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—14—5)

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ [illegible]

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ქ. გ ო რ შ ი
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მ უ ხ ა ძ ე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ე ქ ი მ ი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ა
მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ მ ა
(ხოდნევისამ)
განახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

**პეტროგრადი**, 31 ქრისტეშობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. გალიციაში მდ. სტრიპაზე მტერმა ნამქერით ისარგებლა და ორჯელ შეეცა- [illegible] რაიონში, მაგრამ ორჯელვე მოგერებულ იქნა რუსთა ცეცხლით. ჩერნოვიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა გასწმინდა თხრილების ერთი ნაწილი, რაიც რუსებმა დაიჭირეს.

**შავი ზღვა**, 24 ქრისტეშობისთვე. რუსთა ნაღმოსნებმა მოსპეს მტრის წყალქვეშა ანატოლიის ნაპირთან. მათვე მოსპეს ორი იალქნიანი ნავი ქვანახშირით დატვირთული.

**კავკასიის ფრონტი**. მდ. არხავეს ნაპირებზე რუსთა ცეცხლით გაფანტული იქმნენ ოსმალთა რაზმები, რომელნიც პოზიციების გასამაგრებლად მუშაობდნენ. არქიშის რაიონში. შეტაკება მოხდა ქურთთა საკმაოდ ძლიერს რაზმთან.

**პეტროგრადი**, 1 იანვარი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტი**. მთელს ფრონტზე სამას ასკერამდე წამოვიყვანეთ ტყვედ. დავლად დაგვრჩა 4 ზარბაზანი. ქურთთა რაზმები გაფანტულ იქმნენ არქიშის დასავლეთისკენ.

---

**პარიზი**, 30 ქრისტეშობისთვე. ღამით მტრის ორმა ჰიდროპლანმა 8 ყუმბარა ჩამოაგდო დიუნკერკის თავზე. ნივთიერი ზარალი საგრძნობელი არ არის. მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენი თხრილების ზარბაზნებით დანგრეულ იქმნა მტრის რამდენიმე სანგარი. შამპანში ჩვენმა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა ყუმბარები გერმანელთა თხრილებს, მეზინ-დე-შამპანის ჩრდილოეთით და სუონის გორაკის აღმოსავლეთით. არგონებში გერმანელებმა აფეთქეს ნაღმი „275“ მწვერვალზე. მთელი დღის განმავლობაში აფეთქებულ ადგილის გარშემო სასტიკი ბრძოლა იყო ხელით სასროლი ყუმბარებით. სამხრეთით ნაწილის პირზე ჩვენ გავმაგრდით. არგონებსა და მაასის შუა მტერი შეეცადა იერიშით შემოეტივნა, მოშხამული გაზებიც კი მოიხმარა ფორჟის რაიონში, მაგრამ ჩვენ დროზე გავწიეთ თავდარიგი და სროლით საშუალება არ მივეცით; რომ თხრილებიდან დაძრულიყვნენ.

**ჰავრი**, 30 ქრისტეშობისთვე. მთელს ფრონტზე მძაფრი არტილერიის სროლაა, განსაკუთრებით სტეონსტერეტეს ჩრდილოეთით.

**თეირანი**, 30 ქრისტეშობისთვე. სამხრეთ სპარსეთიდან კარგი ამბები მოდის. რუსისა და ინგლისის კონსულები, რომელთაც ამ სამი კვირის წინად დასტოვეს ქერმანი, მშვიდობიანად ჩამოვიდნენ ბენდერ-აბასში. ის ამბავი, რომ შირაზის გუბერნატორი კავამი იძულებული გახდა დამარცხების შემდეგ ქალაქი დაეტოვებინათ, გამართლდა, მაგრამ ისიც შევიტყეთ, რომ ოსმალები შემოუკრებნია და ხელახლად გაუჩაღებია ბრძოლა გერმანელთა და ოსმალთა მომხრეების საწინააღმდეგოდ. როგორც ხმები დადის, შირაზის ინგლისელთა და რუსთა კოლონიები, რომელთა შესახებ დიდიხანია ცნობები არ მოსულა, უვნებლად არიანო. როგორც ვიცით, ინგლისელთა კოლონია მეამბოხეებმა მთებში გაირეკეს. რუსის საკონსულო აგენტი კი, როგორც სჩანს, შირაზშივე დაუტოვებიათ რუს კოლონიასთან ერთად.

**სევასტოპოლი**, 31 ქრისტეშ. თვე. რუსთა ნაღმოსნებმა ანატოლიის რაიონში დაატყვევეს ქვანახშირით დატვირთული იალქნიანი ხომალდი. მენახშირენი დაიღუპნენ. ოსმალნი დატყვევებულ იქმნენ.

**სოლუნი**, 31 ქრისტეშ. თვე. ინგლისელებმა და ფრანგებმა გუშინ სტრუმზე ხიდი ააფეთქეს, ასევე ააფეთქეს რკინის გზის ხიდები სოლუნისა და სტამბოლის შუა, საბერძნეთის ტერიტორიაზე. ამნაირად აღმოსავლეთი მაკედონია მოწყვეტილია საბერძნეთიდან. მოკავშირენი იმიტომ მოიქცნენ ასე, რომ ბულგარებს ხელი შეუშალონ შეტევაში. მათ შორის დიდი მოძრაობაა.

ბულგართა ჯარები მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე დივიზიები გადაცმულან გერმანულად. სოლუნში გუშინ გადმოსხეს ინდოელთა რაზმები არტილერიით, ჰაეროპლანებით და ავტომობილებით.

ინგლისელებმა გელესის კონცხის დაცლის შემდეგ გაამაგეს იმბროსი და ლემნოსი, რათა დარდანელის ბლოკადა განაგრძონ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### უმოქმედობა.

დვინაზე სიწყნარე ჩამოვარდა. მიზეზად ასახელებენ ჰინდენბურგისა და მაკენზენის შუა ჩამოვარდნილ უთანხმოებას. გაზების მოხმარებას მოუხშირეს, იმიტომ რომ ყინვებმა უკლო, მის მოსახმარებელი მანქანები დიდად გაუუმჯობესებიათ. მზის საწინააღმდეგოდ საშუალებათა გამოსანახავად უნდა ყურადღება გაორკეცებული იქმნას.

### პეტროგრადი.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა უკვე შეიმუშავა პროექტი, პეტროგრადის ნელ-ნელი დაცლისა, ისეთ სამრეწველო დაწესებულებათა გადა-

ტანა, რომელთაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. პროექტში აღნიშნულია, რომ ასეთი გზით 132 დაწესებულება სრულიად თავისუფლად შეიძლება გადავიტანოთო.

**ბერლინიდან სტამბოლამდე.**

ბერლინიდან სტამბოლამდე რკინის გზა უკვე დამთავრდა. ბერლინიდან პირველი მატარებელი 2 იანვ. გავიდა, ხოლო სტამბოლიდან 5 იანვარს დაბრუნდა.

**„კინგ ედუარდ VII“.**

ინგლისელთა ჯავშნოსანი „კინგ ედუარდ VII“ (1904 წ.) იყო 17,800 ტონა წყალწყვისა, საათში გადიოდა 30 ვერსს, შეიარაღებული იყო 42 ზარბაზნით, რომელთაგან ოთხი ათდიუმიანი იყო, ათი ექვსიანი და ოცდაოთხი სხვა და სხვა ტიპისა. მისი ეკიპაჟი შესდგება 780 კაცისაგან. იგი ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ეკიპაჟი გადარჩა. „კინგ ედუარდ VII“ მერვე ჯავშნოსანი იყო, ყველაზე უდიდესი, რაც კი ინგლისელებს დღემდე დაჰკარგვიათ.

## უკანასკნელი ფოსტა

მეფე კონსტანტინეს განუცხადებია: ჩვენ არა გვწამს, რომ ბულგარელები გადმოლახვენ ჩვენს საზღვრებსა, მაგრამ თუ გადმოჰლახეს, მაშინ ჩვენი ჯარები იმ ადგილებს დასცლიან, სადაც ომი მოხდება.

—რომიდან იტყობინებიან, რომ იტალიის ფრონტზე ათი- ათასი ოსმალო გამოჩნდაო. ესენი დარდანელიდან გადმოუყვანიათ.

— ბულგარელები წინ მიდიან დურაცოსა და ტირანში.

— გერმანელთა 12 ჰაეროპლანმა 78 ყუმბარა ჩამოაგდო სალონიკში.

— სალონიკის მახლობლად გერმანელთა წყალქვეშა ნავები გამოჩნდნენ.

— გერმანელები დიდძალ ჯარს თავს უყრიან ბუკოვინაში, რუმინეთის საზღვართან.

— დეპუტატთა წრეებში ხმა დადის, რომ სახელმწიფო სათათბიროს იანვრის ნახევარ რიცხვებში მოიწვევენო. უფრო კი ასახელებენ 22 იანვარს.

## ბრძოლის ველზე

ამ უკანასკნელ ხანში ომის ასპარეზიდან ძლიერ მცირე კერძო და ოფიციალი ცნობები მოდის. ის ცნობებიც, რაც მოდის ვერ იძლევა ნამდვილ მდგომარეობის სურათს.

რუსეთის ბრძოლის პირზე, ნამეტნავად სამხრეთით ძლიერი შეტაკებანი იყო. რით დამთავრდა ცნობა არ არის. გუშინდელი ცნობით მხოლოდ ვიცით, რომ ავსტრიელებს ჩერნოვიცის ჩრდილო აღმოსავლეთით თხრილები დაუტოვებიათ. ეს თხრილები რუსებს დაუკავებიათ.

აგრეთვე ცნობაა, რომ მდინარე სტრიპის შუა ნაწილში, დობროპოლიეს რაიონში ავსტრიელთ შემოუტევიათ, მაგრამ რუსებს უკუ-უგდიათ ორჯერ. ჩრდილო-რიგა-დვინსკის რაიონიდან ცნობა არ არის.

შავ ზღვაზე რუსეთის გემები განაგრძობენ ბატონობას და ანატოლიის ნაპირებზე ოსმალთა იალქნიან გემებს იჭერენ და სძირავენ. ერთი გამორიყული წყალქვეშაც მოუსპიათ.

ბალკანეთიდან კერძო ცნობებით ინგლისელებსა და ფრანგებს მდინარე სტრუმაზე ხიდი აუფეთქებიათ; აგრეთვე აუფეთქებიათ ხიდები დემირ გისართან და კილინართან. ეს იმის მომასწავებელია, რომ ალბად ბულგარელები და მისი მოკავშირეები აწვებიან სოლუნის გამაგრებულ ინგლის ფრანგების ჯარს.

ალბანეთში, აგრეთვე კერძო ცნობებით, ბულგარელები უკვე უახლოვდებიან დურაცოს და ტირანასო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე ადრიატიკის ზღვის პირზე მიუხწევიათ.

დასავლეთის ფრონტიდგან მოსული ცნობებით, იქ გამუდმებული სროლა ჰქონდათ, მაგრამ თვალსაჩინო ცვლილება არა მომხდარა რა.

დარდანელიდან კერძო ცნობით ინგლისელებს თანდათან გამოჰყავთ ჯარი და როგორც ამ ცნობებიდან სჩანს გალიპოლის ნახევარი კუნძული სრულებით დაუტოვებიათ, მხოლოდ ჯერ კიდევ კუნძულ იმბროსზე და ლემნოსზე ჰყოლიათ ჯარები. ამ ნაირად დარდანელის მხოლოდ ბლოკადას-ღა განაგრძობენ ინგლისელები და ფრანგები.

**გ. გ.**

**თბილისი, 3 იანვარი.**

**ყოველმხრივ თვალი გვეჭიროს.**

არის მომენტები, როგორც კერძო პირის ცხოვრებაში, ისე ერის ცხოვრებაშიც, როცა გარემოების მიხედვით უმეტესი ენერგია და უნარი უნდა გამოიჩინოს თვით მოქმედებაში. შეიძლება ამა თუ იმ წამის გაშვება, საბედისწერო იქნეს მისთვის და ვეღარასოდეს ვეღარ გაასწოროს და ვერ შეავსოს, რაც იმ მომენტში გაუშვა.

ასეთი შემთხვევები ხშირად არ ხდება.

დღეს ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ ასეთს წამებს განიცდის, არა თუ მარტო ჩვენი სამშობლო, თვით მთელი მსოფლიოც. ყველა ერმა დღეს, გარემოების მიხედვით, ვისაც კი უნდა შეინარჩუნოს თვისი პიროვნება და მომავალში იქონიოს იმედი განვითარებისა უნდა გამოიჩინოს მაქსიმუმი თავის უნარისა და ენერგიისა.

ქართველ ერს, რომელსაც არა ერთხელ განუცდია მწარე და მწვავე დრო, ყოველთვის გაჭირვების დროს მოუკრებია უმეტესი ძალა და თავი გადურჩენია.

ყველა ვგრძნობთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მეტად მწვავე და რთულია, ჩვენი არსებობის საკითხი დასმულია.

დღეს ისეთი დროა, რომ ჩვენი ცხოვრება თხოულობს ყოველი თვითეული შეგნებული ქართველისაგან სამშობლოს სამსხვერპლოზე გამოიღოს მაქსიმუმი თავის შრომისა და ენერგიისა.

საჭიროა, რომ თავისი მორალური და მატერიალური ძალა დაახარჯოს თავის გაჭირვებაში მყოფ სამშობლოს.

დღეს კერძო ჩვენი ცხოვრების პირობების გართულება და ათას გვარი თავს დატეხილი უბედურება ითხოვს ამას; ამას ითხოვს მთელი მსოფლიოს თავზე მოვლენილი განსაცდელი.

დღეს სწყდება, როგორც სხვა ეროვნებათა ყოფნა არ ყოფნის საკითხი, აგრეთვე უმეტეს ჩვენი. დღეს ყოველგვარ გაჭირვებას უნდა გაუმკლავდეს ჩვენი ერი. ეს არ კმარა, მან უნდა გაიჭედოს თვისი უმჯობესი მომავალიც, მაგრამ ყოველივე ამის შესრულება, ამ მიზნის მიხწევა თხოულობს თითოეული შეგნებული ქართველის მოქმედებას, თხოულობს თითოეული ქართველის სამშობლოს საკეთილდღეოთ ინიციატივის და უნარის გამოჩენას.

დღეს ისეთი დროა რომ ყველამ და თითოულმა უნდა იფიქროს თავის და თავის ერის მომავალზე. ამისათვის კერძო ძალით და საერთო ძალით უნდა ამოქმედდეს და მოქმედებდეს. უნდა გაეცნოს და დაიახლოვოს ყველა ის, ვინც მისი თანამგრძნობია და ვისაც თანაუგრძნობს, რომ ერთად ჩაებას საერთო საქმის გასაკეთებლად.

## რუსული პრესა

საშობაო ნომერში „სოვრ. სლოვო“ განიხილავს ზავის პირობებს და სხვათა შორის ამბობს: „...მაგრამ ვიდრე ზავზე დავიწყებთ ლაპარაკს, საჭიროა შინაურს ზავზე, შინაურს შეერთებაზე და მოწესრიგებაზე ვილაპარაკოთ. ჩვენი ეროვნული უბედურება, სასტიკი და აუტანელი ისაა, რომ ასეთს დროს შინაურს მოწესრიგებაზე გვიხდება ლაპარაკი. გვეგონა, ყველა ამას ზაფხულში მივაღწიეთ, მაგრამ ეს მიღწევა ფიქტიური გამოდგა, დროებითი ტ უდღეო.სამწუხროა ასეთს დღეს გავიხსენოთ იდეალურ საქმეთა დაწყობილება, რასაც ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულს დავადექით. რა ხან მოკლე გაზაფხული გამოდგა! მათ აყვავილებაც კი ვერ მოასწრეს,

იმედების მეტი აღარა გვმართებს-რა. ვიცადოთ და ვიიმედოთ.

იქნებ გვეღირსოს გაერთიანება, ერთის აზრით გამსჭვალვა...

# ქვე ხელის მომწერთა საყურადღებოდ

**გაზეთ „საქართველო“ კანტორა ამით აცხადებს, რომ თუ ხელის მოწერას არ განაახლებთ, იანვრის 5-დან გაზეთის გზავნა მოესპობათ.**

## ახალი ამბავი

✦ **გუბერნატორების გამწესება.** როგორც ხმა დადის, ტაიისის გუბერნატორად ამწესებენ თბილისის ვიცე-გუბერნატორს ბ-ნ ხოვს, ხოლო თბილისის გუბერნატორად—ფლიგელ-ადიუტანტს პოლკოვნიკ მდრიკას.

✦ **სამადლობელი დეშა.** მოწინავე პოზიციებიდან მხედრობათა ნაწილთაგან აუარებელი მადლობელი დეპეშები მოსდის ქალაქა კავშირს სადღესასწაულო საჩუქრისათვის.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები.** ბ-ნი აჯემოვი თბილისიდან პეტროგრადს გაემგზავრა. პაპაჯანოვს დღეს მოელიან ბაქოდან.

✦ **განყოფილების გახსნა.** 29 ქრისტეშობისთვეს, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწის ალმასრულებლის კ. ი. სვიმონიშვილის თაოსნობით და მისივე თავმჯდომარეობით, შედგა კრება, რომელზედაც გადაწყდა გაიხსნას ადგილობრივ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კ. ი. სვიმონიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ექ. მ. ი. მირზაშვილი, მდივნად მღ. აბრ. კოგნაშვილი და ხაზინადრად დ. დ. საკროპულო; მათ კანდიდატებად—ი. ბ. ღოღობერიძე, თავ. დ. ნ. ჭავჭავაძე და თავ. ი. ი. მელიქიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს მ. მ. ტატიშვილი, ტ. ლ. ლოტარია და ნ. გ. გრიგოლაშვილი.

✦ **ვაზის წამლის საჭიროება.** კახის (საინგილო) მომხმარებელ ამხანაგობას შეუკვეთნია ფრიდონოვის სავაჭრო სახლისათვის 300 ფუთი შაბიამანი და ბეთ გამოუგზავნია 586 მანეთი გლეხთა შორის შეკრებილი. მაგრამ სავაჭრო სახლის წარმომადგენელს მიუწერია ამხანაგობისათვის, რომ შაბიამანის ჰირიიიაი [illegible] და ამიტომ პირობას ვერ გაძლევთ შაბიამანის დროზე მოწოდების შესახებო. ეხლა ამხანაგობის გამგეობა სთხოვს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ დაგვეხმარეთ ფრიდონოვთან, დროზედ მოგვაწოდოს შაბიამანიო, რადგან უამისოდ აქაურ ვენახებს შარშანდელზე მეტი განსაცდელი მოელის, უწამლოდ თუ დარჩენო. შარშან 1 ფუთ შაბიამანს 70 მანეთად ჰყიდდნენ ჩარჩები და ამის გამო ბევრმა გლეხმა თავისი ვენახი უწამლოდ დასტოვაო.

✦ ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ შემოვიდა: 100 მან.—კნ. ნ. ე. ქობულოვისაგან, 100 მან.—კნ. დ. ე. ბაგრატიონ მუხრანსკისაგან, 100 მან.—თავ. ნ. ე. ქობულოვისაგან—განსვენებულ ე. დ. ქობულოვის ხსოვნის აღსანიშნავად; 50 მან.—ს. ი. და მ. დარახველიძეებისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად, რომლითაც ფიდუმა სულხანიშვილის კუბო უნდა შეემკოთ და 50 მან.—განსვენებულ გ. ს. მაჩაბლის ხსოვნის აღსანიშნავად მისი შკოლისა და შვილიშვილებისაგან. სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

✦ **გადმოხვეწილი ობლები.** მიღებულ ცნობათა მიხედვით, ვანიდან მოდის 70 ობოლი ბავშვი, რომელნიც დედაქალაქში უნდა მოათავსონ.

✦ **ქალაქთა კავშირის** ბათუმის კომიტეტი იტყობინება, რომ სამოქმედო პროგრამის დიდი ნაწილი სამკურნალო საქმის მოწყობის შესახებ უკვე განხორციელებულ არისო.

✦ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.** მთავარმა გამგეობამ საზოგადოებისამ, ბ-ნთ არ. წითლიძისა და ერ. გულისაშვილის მოხსენების თანახმად, დაადგინა: მოლაპარაკება გამართოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან, რომ ბათუმში მთავრობის მიერ დაწყებული და ჯერ დაუმთავრებელ სკოლის შენობა გადმოვიდეს საზოგადოების სრულ განკარგულებაში. მთავარმა გამგეობამ აგრეთვე გადასწყვიტა ქობულეთში გახსნას სკოლა დროებით ნაქირავებ შენობაში. რადგან ირკვევა, რომ ბათუმის ადმინისტრაცია წინააღმდეგია ამბულატორიის გახსნისა ქედაში, მთავარი გამგეობა სთხოვს საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, მონახოს სხვა შესაფერისი პუნქტი ამბულატორიისათვის.

მთავარმა გამგეობამ აგრეთვე მსჯელობა იქონია 9 წლის ქართველ მაჰმადიან ბავშვის შესახებ, რომელიც ბ-ნ ი. ქიტიაშვილს უპატრონოდ უნახავს წრიაში (აჭარა), იქიდან წამოუყვანია და გურჯაანის სკოლაში ამზადებს თავისი ხარჯით. გამგეობამ გადასწყვიტა, ეს ბავშვი გაგზავნოს სოფ. ავლევს თავ. კ. მ. ამირეჯიბის სამეურნეო სკოლაში და თავისი ხარჯით გაზარდოს.

✦ **წარჩინება.** ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის წმ. ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრით იქმნენ დაჯილდოვებულნი აფიცრები: შანშიაშვილი, ავალიანი, კვირიკაძე, თუმანიშვილი, ჩხეიძე და მიქელაძე.

✦ **წიგნების შეწირვა.** გოფმეისტერმა პეტერსონმა 29 წიგნი შესწირა თბილისის პოლიტეხნიკუმის ბიბლიოთეკას. წიგნები შემდეგი შინაარსისაა: „მასალები ციმბირის რკინის გზის გაყვანის შესახებ“, სანამ პოლიტეხნიკუმი აშენდებოდეს, ეს წიგნები შენახული იქნება ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში.

✦ **არჩევნების გასაჩივრება.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, თელავისა და თიანეთის მაზრის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებს გაუსაჩივრებიათ სახელმწიფო ბანკში და საკრედიტო დაწესებულებათა განყოფილებაში კახეთის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის არჩევნები.

✦ **აჭარელთა პროცესი.** იმ აჭარელების, რომელთაც 108 სტ. მუხლის ძალით სახელმწიფო ღალატს სწამებენ, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით საქმის გარჩევა შეჩერებულ იქმნა.

✦ **სურსათი.** 31 ქრისტეშობისთვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 29 ვაგონი და შაქარი 5 ვაგონი.

**თელავი.**

[illegible] ქანქანიძე თათარი სათარა, არშაკა არუთინოვის ჭის წმენდის დროს შიგ დაიხრჩო და დამხრჩვალი ამოიღეს ჭიდან.

**შეცდომის გასწორება**

საახალწლო ნომრის სურათებიან დამატებაში შიო მღვიმელის ლექსში შეცდომაა შეპარული: „არ გაღირსებთ შესანდობარს არც რქითა და არაცა ჯიხვით“, უნდა იყოს: „...არც ჭიქით და არცა ჯიხვით“.

## მესტამბე და რედაქტორ-კორექტორი ძველად

(დასასრული)

რედაქტორისავე როლში გამოდის თვით გვირგვინოსანი მეფე ვახტანგ სჯულ-მდებელი, რომელიც ჰბეჭდავს თვის მიერ გამართულს სტამბაში სხვათა-შორის „ვეფხის ტყაოსანს“ თან დაურთავს თარგმანობასა ანუ ამ ნაწარმოების დედა-აზრის ახსნასა დ აგრეთვე ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტებას, ლექსიკონის სახით.

რა ცვლილება შეიტანა თვით ტექსტში ვახტანგმა, არ ვიცით ჯერ-ჯერობით. ვიცით მხოლოდ, რომ მრავალ ხელთ-ნაწერთა შორის, როგორც სჩანს, ამოურჩევია უკეთესი და იქიდან გადაუბეჭდია. დღესაც ყველა ჩვენს მკვლევარს ვახტანგის ტექსტი მიაჩნია უფრო სანდოდ და სარწმუნოდ.

როგორც ვიცით, ჩვენს ქვეყანას ფრიად მწარე დღე დაადგა მეთექვსმეტე—მეჩვიდმეტე საუკუნეში. არც მეთვრამეტე საუკუნეში უღიმოდა ბედი საქართველოს. ყოველივე ამან გააძლიერა ღვთის მოსავობა, მისტერიული მიმართულება, გაალვივა რელიგიური გრძნობა. ყოველივე დაემორჩილა ეკლესიას, რელიგიას. საქმე იქამდე მივიდა, რომ დევნა დაუწყეს ვეფხის ტყაოსანს, რომელსაც ძველი ქართველობა დიდს პატივსა სცემდა და ხატსახარებასთან ერთად მზითევში ატანდა გათხოვილს ქალებს. ვახტანგმა მოინდომა დაცვა ვეფხის-ტყაოსნისა და მის დედა-აზრს სასულიერო ხასიათი მოაწერა, გადაჭრით უარ-ჰყო გამრყვნელი გავლენა ამ თხზულებისა და ამტკიცებდა, პოემაში ხორციელი სიყვარული-კი არ არის, არამედ სულიერიო.

... „რუსთაველის დროს ქალი ბატონობდა,—ვითომ თამარიო,—ბრძანებს რედაქტორი მეფე: და ამ გვარი მეფობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა? და მეორედ: ორი კათალიკოსი, რამთონი სამღვდელო, წმინდა და ღირსნი კაცნი იყვნენ და ამთონი უდაბნო (მონასტერი) აშენებული იყო. ისინი, თუმცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევინებდნენ და ნათქვამს (ვითომ პოემას) დაუხეველს როდის გაუშვებდნენ?! თვარამ ახლა გაშინჯეთ, ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდლობა და ახლანდლობა შორი-შორს არის. თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად, კიდეც არ დაუშალონ და კიდეც არ უწყინონ! მაგრამ თუ უნდა, ესეც არ იყოს და ისე იყო, თარგმანი (განმარტება) ხომ ასე სჯობს. ღვთისა და კაცის წინ მე ასე მიჯობნებია და ამას იქით მკითხველთ იციან. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ჰხამს (უნდა იყოს) და ამათ დავშვერ (ამიტომ ვიშრომეო).

რაიცა შეეხება თვით სტამბის მოწყობას ძველად, რასაკვირველია, იგი პირველ-ყოფილის სახისა იყო, მარტივი და სადა. რა თქმა უნდა, მაშინ სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდნენ იმ რთულ სასტამბო მანქანებს, რომელიც ვეშაპებსა ჰგავს ახლა, სტერეოტიპიით ჰმუშაობს და ასი ათასობით ჰბეჭდავს უზარმაზარ გაზეთის ფურცლებს ან წიგნების კაბადონებს.

მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ როგორ მუშაობდა იმ ძველებურ სტამბაში. ამ მხრივ საკმაო მასალას გვაძლევს იმ წიგნის ბოლოში მოქცეული მინაბეჭდი, რომელსაც ამ ორიოდე წლის წინად შემთხვევით წავაწყდით სოფ. ტყვიავის ერთ-ერთ ძველს გაუქმებულ საყდარში. წიგნი დაფურცლული იყო, ფურცლები ბლომად აკლდა! ბედად შერჩენოდა თავი და ბოლო. თავშიც ჰქონდა საინტერესო წანაბეჭდი და ბოლოშიც. აი ეს ბოლოში მინაბეჭდია დღეს ჩვენთვის საყურადღებო, რადგან საკმაოდ გარკვევით სჩანს, ვინ რას აკეთებდა წიგნის ბეჭვდის დროს, ვინ მეტრამპაჟობდა, ვინ კორექტორობდა, ვინ რედაქტორობდა და ვინ იყო ინსპექტორი სტამბისა.

აი ეს მინაბეჭდი:

„დაიბეჭდა წიგნი ესე ზატიკი სამეუფოსა, ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამითოოსა ჭ...ოსა... 1788. თთვესა მარტსა რიცხვსა 24“.

ცხადია, მეორედაა დაბეჭდილი, რადგან, როგორც ვიცით, ზატიკი ირაკლი მეფის მიერ განახლებულ სტამბაში პირველად დაიბეჭდა 1784 წელსა*).

შემდეგ კიდევ:

„დაიბეჭდა წმიდა ესე საეკლესიო წიგნი ზატიკი (ეტყობა ჩვენი ორთოგრაფია ამ ასის წლის წინადაც ისევე კოჭლობდა, როგორ ახლა) საფასეთა ნარგებითა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა **მეფისა ირაკლი** მეორისათა, რომლისა ხსენება იყავნ კურთხეულ“.

ერთის სტრიქონის ცარიელი ადგილია დატოვებული და შემდეგ ეს იწყება:

„ღრამატიკისა კანონისა ზედა და გალობისა კილოსა ზედა განმართვითა**) და პრობის მართვითა (ეხლანდელი კორექტურა) ღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა; პლაკის მჴრელობით და დაზგის მმართველობით (ეხლანდელი მეტრამპაჟი) კარის საყდრის ხუცის დავით ღირსისათა***); ზედა-მდგომარეობითა და სტამბის სახმართა ზედა გარჯითა ყორღანაშვილის დავით მუშრიბისათა (ეხლანდელი ზედამხედველი სტამბისა ანუ მნე მისი—რუსულად завѣдывающій хозяйственной частью).

ბოლოს:

„სტამბისა ამის ნაკლებისა შემასრულებელი ლუკასშვილი მესტამბე რომანოზ“.

ვათავებთ ჩვენს მოკლე მიმოხილვას. იმედია, მკითხველი ცნობათა სიმცირისათვის არ დაგვემდურება. გვინდოდა, ამ ჩვენის დროის კორექტორ-რედაქტორი და მესტამბეც დაგვეხასიათებინა, მაგრამ ეს შენიშვნა ისე გაჭიანურდა, რომ ეგ როდისმე შემდეგისათვის იყოს.

**გრ. ყიფშიძე.**

*) თარ. ა. ლ. ცაგარელი Свѣд. о памятникахъ груз. письменности вып. III, წინასიტ. გვ. XVI.

**) მივაქცევთ ამ გარემოებას საეკლესიო გალობის მოყვარულთა ყურადღებას.

***) ეს დავით ხუცესი, მღვდელი კარის ეკლესიისა, იყო პაპა პროფესორის დავით იესეს-ძის ჩუბინაშვილისა.

## 1915 წლის ქრონიკა

[illegible] ახლად დანიშნულმა ეგზარხოსმა პიტირიმმა პირველად აღძრა შუამდგომლობა ალავერდის კათედრის აღდგენის შესახებ.

— აკაკი მძიმედ გახდა ავად საჩხერეში.

— დაიწყო მოძრაობა კახეთის რკინის გზაზე.

— სინოდის განკარგულებით სწავლა შესწყდა ყველა სასულიერო უწყების სკოლებში.

— თბილისში საგრძნობლად იძრა მიწა.

— ილიას სახლი გამოისყიდა წერა-კითხვის საზოგადოებამ.

— ეპ. კირიონი უმაღლესად დაინიშნა ვიტებსკისა და პოლოცკის ეპისკოპოსად, 6 წლის უადგილოდ ყოფნის შემდეგ.

— ეპ. ლეონიდი და სემინარიის რექტორი პეტროგრადს წავიდნენ ეგზარხოსის დავალებით.

— სიონის ტაძრის გვერდზე შენობები მოაშორეს გალავნის გასაფართოებლად.

— გარდაიცვალა აკაკი.

**თებერვალი.** თბილისში ჩამოვიდა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე.

— კავკასიის ქალაქის მოურავთა კრება შესდგა.

— დაკრძალეს მამა დავითში აკაკი.

— ვაჟაფშაველა ავად გახდა და თიანეთსგადმოიყვანეს ჩარგლიდან.

— სათათბიროს წევრი ვ. ლ. გელოვანი სახადით ავათ გახდა და თბილისში ჩამოიყვანეს.

— გუბერნატორმა ალ. შანშიაშვილს გაზეთ „საქართველო“-ს გამოცემის ნებართვა მისცა.

— აკურთხეს საბურთალოს სახალხო აუდიტორია.

— გარდაიცვალა უეცრივ ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი.

წერა-კითხვის საზოგადოებამ პროფ. ხახანაშვილის მემკვიდრენი დააკმაყოფილა.

— მოჰკლეს ცნობილი მემამულე ბორჩალოს მაზრისა ბარონ ფონ-კუჩენბახი ცოლით.

დაიწყო რკინის გზით მოგზაურობა თელავამდე.

— გარდაიცვალა სათათბიროს წევრი ელოვანი.

(დასასრული იქნება).

## პატივი სცეს

სარგის კაკაბაძეს პატივი სცეს.

„სახალხო ფურცელმა“ თავის დამატებაში ბ. კაკაბაძე მოათავსა „ქართულ ისტორიკოსთა“ გუნდში. ბედის ირონიის წყალობით, ამ გუნდში არ მოჰყვა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე ისტორიკოსი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ამ ცნობილ ქართველ მეცნიერის მოთავსება კაკაბაძის გვერდით, სჩანს ჭაშნიკში ვერ მოსვლიათ „სახალხო ფურცლის“ მეთაურებს... ამისი თუ შერცხვათ.

შერცხვათ, რადგან კარგად ახსოვთ, თუ რა დღე მიაყენა, მათივე გაზეთის საშუალებით, პროფესორმა ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიის და მის წარჩინებულ გვამთა—თამარ მეფის, წმ. ნინოს, შოთა რუსთაველის და სხვათა, გამქიქავ და შემლახველ „ისტორიკოსს“ კაკაბაძეს!

დღეს ამ ვაჟბატონს „სახალხო ფურცელმა“ პატივი სცა.

საიდუმლო ამ პატივისცემისა უნდა ვეძიოთ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ ფურცლებზედ.

ამ სომხის ნაციონალისტების გაზეთში თანამშრომლობს ბ. სარგის კაკაბაძე და მუდამ-ჟამ ქართველობის წინააღმდეგ ცილის წამებით და სიყალბით სავსე წერილებს ათავსებს, რომლებშიაც „მეზობელთა“ სასიხარულოდ, ქართულ ცხოვრების სინამდვილეს ამახინჯებს და... ათრევს.

ხოლო ქება-ხოტბას „კავკასკოე სლოვოს“ ფურცელზე „რეალ მოსახლეობის“ ფედერალისტებს მიუძღვნის.

„გუგული აქებს მამალსაო, მამალი კი გუგულსაო“—ნათქვამია.

ამ რიგად ს. კაკაბაძეს, და „სახალხო ფურცლის“ მესვეურთა შორის, ბუნებრივი პატივისცემის გაცვლა-გამოცვლა დამყარდა.

ბუნებრივი ერთობა ორ მონათესავე ერის შორის:

ერთი მრუდობს და ბოროტობს ქართულ ისტორიაში.

მეორე კი—ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

და ვისღა გააკვირვებს სარგის კაკაბაძის წარმოსკუპება ქართულ ისტორიკოს მოღვაწეთა გუნდში „სახალხო“ ფურცლის“ სურათებიან დამატებაში?!

**ეკალი.**

## მოსწრებული სიტყვა

ერთი განათლებული ქართველი და უბირი ხევსური ლაპარაკში გართულიყვნენ.

ძმობილო, ოჯახი განა ისეთი დასაგმობია, რომ უკაცრაული პასუხით მოიხსენიო, გაკვირვებით ჰკითხა განათლებულმა ქართველმა.

ჰაი, ჰაი, რომ დასაგმობი არ არის და პატივისცემაცა მაქვს, მაგრამ როცა გხედავ, წვერი გაგიპარსავს, პატიოსანი ულვაშიც ზედ მიგიყოლებია, ერთი სიტყვით, ლოთრანგივით გამოწყობილხარ, მე თვითონ გავიფიქრე, ოჯახის მგმობელი კი არ იყვეს ვაჟბატონი მეთქი დი იმად მოვიხადე ბოდიში თქვენთანაო, მძიმედ მიუგო ხევსურმა.

## მგოსნის აკაკი წერეთლის ვერცხ. და ოქ. ნივთები

განსვენებულის აკაკის სახლობას დარჩა ზოგიერთი ვერცხლის ნივთი, რომლებიც დაგირავებული იყო პეტროგრადის ლომბარდში. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ განიზრახა ამ ნივთების შეძენა და გამართა მოლაპარაკება პატივცემულის კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის დახმარებით და მოურიგდა პატრონებს ას თუმნად (1000 მ.). ვინაიდგან საზოგადოების საბჭოს ამ თანხის გაღება ეძნელებოდა, ამიტომ ცნობილმა ქველმოქმედმა ქ-ნმა ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ კეთილ ინება და ნივთების ფასის ნახევარის (500 მანეთის) გადახდა იკისრა; დანარჩენი 500 მ. კი თვით საბჭომ გადაიხადა იმ იმედით, რომ გამოჩნდებიან კიდევ სხვა ქველმოქმედნიც, რომელნიც იტვირთებენ გაწეული ხარჯის ანაზღაურებას.

ნივთები უკვე ჩაიბარა საზოგადოების საბჭომ. აი მათი სიაც: 1) დიდი ვერცხლის აზარფეშა, 2) ვერცხლის ფრთა კალმით, 3) პატარა ვერცხლის ფრთა კალმით, 4) ოქროში დაფერილი ვერცხლის ფინჯანი, ლამბაქი და კოვზი, 5) დადიანისეული ვერცხლის სურა, 6) ვერცხლის მოზრდილი სურა, 7) ოქროთი დაფერილი ვერცხლის პაწია სურა, 8) ვერცხლის სამარილე, 9) ოქროს ფრთა კალმით, 10) ოქროს მედალიონი, 11) ოქროს ქნარი, 12) ვერცხლის თავიანი ჯოხი, ოქროს მონაგრამებით და 13) ოქროთი მორთული ჯოხი. ყველა ეს მიურთმევიათ მგოსნისათვის სხვა და სხვა ქართულ საზოგადოებებს და პირებს და თითქმის თვითეულ მათგანს აქვს შესაფერისი ზედწარწერა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის პატივცემულს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას, უხვი შემოწირულობისათვის.

## მოხსენება სამშობ. ენის სწავლების შესახებ

პირველდაწყებითი უმაღლეს ტიპის სასწავლებლებში ქართული ენა სავალდებულო საგნად არ არის აღიარებული. ქართული ენის სწავლება ამ სკოლებში უმეტეს ნაწილად მოწაფეთა მშობლების სურვილზეა დამოკიდებული. ამასთანავე ჯამაგირი ამ საგნის სწავლებისა ცალკე უნდა იხადონ მშობლებმა, თუ სასწავლებლის ინსპექციამ არ მოისურვა რაიმე წყაროს გამონახვა ამ ხარჯის დასაფარავად. ეხლა როგორც ვიცით, ქუთაისში კრებაა ასეთ სასწავლებლების მასწავლებლებისა. ლანჩხუთის მღვდელს მამა ეპიფანე ჩხაიძეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსისაგან ნებართვა აუღია ამ კრებას თავისი მოხსენება წარუდგინოს აღნიშნულ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მოწესრიგების შესახებ. დებულებანი ამ მოხსენებისა შემდეგია:

1) ქართული ენა კანონით სავალდებულო საგნად იყვეს აღიარებული სასწავლებლებში; 2) პირველ 3 კლასში ამ ენას იმდენივე გაკვეთილი ჰქონდეს დათმობილი, რამდენიც რუსულ ენას; 3) სავალდებულო საგნებადვე იყოს ცნობილი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება; 4) ხსენებულ საგნების მასწავლებელთ ჯამაგირი ეძლეოდეთ მთავრობის წყაროდან იმ წესით, როგორც სხვა საგნების მასწავლებელთ ეძლევათ და სხ.

ეს მოხსენება კრებამ უნდა განიხილოს და თავისი განაჩენი გამოიტანოს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კრება ერთხმად შეიწყნარებს მოხსენებას და შუამდგომლობას აღძრავს მის განხორციელების შესახებ.

## სწავლა-განათ. მდგომარეობა გასულ 1915 წ.

(მოკლე მიმოხილვა)

(დასასრული)

„განათლების“ საზოგადოების მმართველობამ პატივცემულ ან. წერეთლის მეთაურობით არა ჩვეულებრივი, ვიტყვით—არა ქართველური ენერგია, სიმხნევე და უნარი გამოიჩინა ამ საკითხის წამოყენებასა და პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებაში. ამავე საზოგადებამ გახსნა ხარფუხში ქალების პროფესიონალური სკოლა, სადაც სწავლობენ ყველა ეროვნების ქალები, მათ შორის 27 მაჰმადიანი. ეს გარემოება, ფრიად ხელის შემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს ქართველ და მაჰმადიან ქალთა დაახლოვებაში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ განსვენებულმა კიპრიზოვმა ფრიად დაავალა როგორც განათლების ისე მთელი ქართველი საზოგადოება თავის უხვი შემოწირულებით: მის მიერ ნაანდერძევი ხამსართულიანი სახლი რამდენიმე ათასი თუმანი ღირს. რაკი ჩამოვარდა ლაპარაკი ქალთა პროფესიონალურ სკოლაზე, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობა. საზოგადოება, პატივცემულ ეკ. გაბაშვილის მეთაურობით, აწარმოებს ქალთა პროფესიონალ სკოლას, სადაც სწავლობს 300 მეტი ხელმოკლე ქართ. ქალი. გასულ წელს ამ მხრივ ბევრი შრომა გაიწია სკოლის შესაფერ ნიადაგზე დაყენებისათვის როგორც სწავლის, ისე მატერიალურად უზრუნველყოფის მხრივ. საზოგადოთ ქართველ ქალთა ნაყოფიერი კულტურული მოღვაწეობა დღეს უტყუარი და მასთან ფრიად სასიამოვნო და გამამხნევებელი ფაქტია.

დღევანდელმა შეუბრალებელმა ომმა სისხლის ცრემლებით ატირა ჩვენი ძმები აჭარლები. აჭარელთა საკითხი ჩვენ მორიგ და დღიურ საკითხად გადიქცა. ქართველი საზოგადოება ახმაურდა, მიხვდა თავის დანაშაულს წარსულში და შეეცადა გაეთვალისწინებინა, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა საქმის გამოგვარება და ამიტომ, სრულიად სამართლიანად, უპირველესი ყურადღება მიაქცია ქველმოქმედებისა და სკოლის საკითხს. ერთიც და მეორეც სასურველ და პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენა. უკვე გადაწყდა ოთხ თვალსაჩინო პუნქტში სკოლების დაარსება, რისთვისაც უხვი სახსარი აღმოუჩინა ტატიანას კომიტეტმა. ეხლა ჩვენს გამრჯელობაზე, მუყაითობაზე, შორსმჭვრეტელობაზე და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული აჭარის მომავალი ბედი. ერთ წუთსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მშვენიერ პატარა აჭარას ზედ აკრავს არა ნაკლებ მშვენიერი და დიდი **ლაზეთი**, დასახლებული ჩვენივე მახლობელ და მონათესავე ლაზებით. არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ აჭარა ის კარებია, რომელიც ლაზეთისაკენ იღება. აჭარასთან სულიერი დაკავშირება სკოლების საშუალებით ეს ის პლიუსია, რომელიც არ შეგვიძლია არ მივაწეროთ გასულ სისხლში ამოსვრილ 1915 წელს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გასულ წელს სრულიად არ აქცევდნენ, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას აგრონომიულ სკოლების გახსნას. ამ მხრივ მთავრობის სკოლების ნაკლს რამოდენიმედ ავსებს, გასულ წელს ინჟენერ ვინაგრადოვის მიერ გახსნილი საშუალო „კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი“ და მისგანვე დაარსებული „ტეხნიკური კურსები“. როგორც სასწავლებელში, ისე კურსებზე უმეტესობას ქართველობა შეადგენს სასწავლებელში, სადაც ჯერჯერობით ორი მოსამზადებელი და ერთი ძირითადი კლასია, სწავლობს 408 შეგირდი, ამათში 214 ქართველი ყოფილა. 81 თავად-აზნაურთა შვილები, დანარჩენთა უმრავლესობა გლეხკაცობისა, ეს მოვლენა ჩვენ ძლიერ თვალსაჩინოთ მიგვაჩნია თავის მომავალი შედეგებით. ბ. ვინოგრადოვის სკოლა და კურსები კიდევ იმით არიან აღსანიშნავი, რომ იგინი ნაყოფია ბ. ვინოგრადოვის კერძო ინიციატივისა.

დღეს არავისთვის საეჭვო აღარ არის, რომ ვაჭრობის სათანადო წარმოება მოითხოვს ისეთსავე სპეციალ ცოდნას, როგორც დანარჩენი დარგნი, ამიტომ კომერციულ ცოდნის გავრცელებას ჩვენში უნდა ჰქონდეს მიქცეული სხვაზე არა ნაკლები ყურადღება. ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადასდგეს ჩვენში: ქუთაისის ვაჭართა საზოგადოებამ გასულ წელს გახსნა საშუალო კომერციული სასწავლებელი, რომელიც იმედია, დიდ სამსახურს გაუწევს დასავლეთ საქართველოს, რომლის მცხოვრებთა ნიჭი აღებ-მიცემობის წარმოებაში არავისათვის საეჭვო არ არის.

ქუთაისმა სხვაფრივაც გამოიჩინა მცხოვრებთა სწავლის წყურვილის დაკმაყოფილების უნარი: გასული წლის ენკენისთვიდან გაიხსნა ქალების კერძო საშუალო სასწავლებელი, რომელსაც სათავეში უდგია ცნობილი პედაგოგი დ. უზნაძე.

გასული წლის ბოლომ ერთი მეტისმეტი საყურადღებო ® სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა: ქ. ქუთაისში მოხდა მრავალ-რიცხოვანი „ყრილობა სრულიად დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა“ მასწავლებელთა კავშირის დასაარსებლად. „საქართველოს“ კორესპონდენტი სრულიად სამართლიანადა სთვლის ამ დღეს „ბედნიერ დღეთ იმით, რომ ამ დღეს პირველად ვხედავთ ერთსულოვნებით შეკრებილს დასავლეთ საქართველოს ყველა სახალხო მასწავლებელს“. ჭეშმარიტად ახალი ხანა იწყობა ჩვენი სახალხო მასწავლებლებთა ცხოვრებაში! ყრილობამ პირველ დღეებშივე გამოიჩინა საქმიანობა: გადასწყვიტეს პროვინციებში ფილიალურ განყოფილებათა გახსნა, საკუთარი ორგანოს და წიგნების გამოცემის საკითხი და სხვ. საჭიროა, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლებმაც შეადგინონ ასეთი კავშირი და შემდეგ ეს ორი კავშირი თავის მხრივ შეკავშირდეს. ამ გარდამავალ სისხლიან ხანაში ქუთაისში მომხდარი ყრილობა დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია თავისი მომავალი შედეგებით.

გასული წლის მემატიანემ თუმცა ძალა უნებურად უნდა აღნიშნოს, რომ სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ჩვენდა სასურველად არ მიდის, მაგრამ ის ნათელი სხივები, რომელნიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, იმედს გვაძლევენ, ცხოვრების მოთხოვნილებანი იქნებიან დაკმაყოფილებულნი, საზოგადოებამ გამოიღვიძა, შეიგნო თავისი თავი, მიაგნო სწორე გზას და თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის და ყველა დამაბრკოლებელ მიზეზებს გადალახავს, ნუ დაგვავიწყდება უკვდავი ლევ ტოლსტოის სიტყვები: „რამდენსაც არა სცდილობდნენ ერთ პატარა ადგილზე ასი-ათასობით შეგროვილნი ადამიანები დაემახინჯებინათ ის ადგილი, რომელზედაც შეკუმშულიყვნენ და იჭყლიტებოდნენ, რამდენსაც არა ჰქოლავდნენ ქვებით დედა-მიწას, რათა ზედ არა ამოსულიყო-რა... რამდენსაც არ აჭრიდნენ ხეებს ტოტებს და ერეკებოდნენ ცხოველთა და ფრინველთ... გაზაფხული ისევ გაზაფხულობდა, მზე მაინც ათბუნებდა, ბალახი მაინც ამოდიოდა, მწვანედ ბიბინებდა“. („აღდგომა“, გვ. 1.) ჩვენც ამ იმედებით გამსჭვალულნი ვეგებებით ახალ წელს.

ვ. ჯაფარიძე.

## ქარ. საქველ. საზოგადოების მოქმედება წლის განმავლობაში

(მოკლე მიმოხილვა)

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება ერთად-ერთი ეროვნული დაწესებულება აღმოჩნდა, რომელმაც ზნეობრივად და ქონებრივად დიდი ამაგი დასდო ქართველ ხალხს ამ ისტორიულ ხანაში. საერთოდ ცნობილია თუ რა გაჭირვებას განიცდის მთელი საქართველო წლეულს: ომიანობამ მოსწყვიტა მშობლიურ კერას ყველა მუშაკი და ოჯახის ნუგეში; ამას ზედ დაერთო მოუსავლობა მიწის ნაყოფისა; შემდეგ კიდევ წყალდიდობა და ნიაღვრები, რამაც მილიონობით ზარალი მიაყენა დაბა-სოფლებს და ქალაქებს; ამასთან ჩამოვარდა საშინელი სიძვირე, რამაც თითქმის შეუძლებლად ჰყო პირველ საჭიროების საგნების შეძენა ხელმოკლე მცხოვრებთა მიერ. თუ ამას დავსძენთ იმ დიდ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა თითქმის მთელ სამაჰმადიანო საქართველოს, თვალწინ გადაგვეშლება უტყუარი სურათი საქართველოს მდგომარეობისა.

აი ასეთ გარემოებაში საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომლის არსებობა წინა წლებში არც კი იცოდა ვინმემ, დიდი გამჭრიახობა და უნარი გამოიჩინა. საზოგადოებამ უპირველესად ყურადღება მიაქცია საკვების უქონლობას და შეეცადა საზრდოს მოპოვებას იმ კუთხეებისათვის, საცა შიმშილი აუცილებელი იყო. 20 მაისს საზოგადოებამ დაიბარა სიმინდი და პური და 7 მკათათვეს პირველი ტრანსპორტი საკვებისა უკვე მოსული იყო. დღემდის საზოგადოებას მოუვიდა 200.000 ფუთამდე სიმინდი და ფქვილი, რომელიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დაგზავნა. 155.000 ფუთ ფქვილსა და სიმინდს ყოველ დღე მოელის ნაწილ-ნაწილ, რომელიც აგრეთვე მოხმარდება დაშეულ კუთხეებს, ხოლო 150.000 ფუთი ფქვილი და სიმინდი ახალი შეკვეთილი აქვს, რომლის მოსვლაც არ დაიგვიანებს, მხედველობაში თუ ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ მთავრობა ამ დაწესებულებას შედარებით დაუბრკოლებლივ აძლევს ვაგონებს. შემდეგისათვის, სანამ ახალი ჭირნახული შემოვიდოდეს, საზოგადოებას ყოველ თვიურად ნავარაუდევი აქვს ხალხის გამოსაკვებად 200.000 ფუთი სიმინდი და პური და ამის გადმოზიდვას კიდევაც მოახერხებს, რადგან მთავრობის მხრივ უკვე აღთქმული აქვს საკმაო ვაგონები, მოულოდნელმა გარემოებამ თუ არ გამოიწვია შეუძლებლობა საქმისა. საკვები მოჰქონდა საზოგადოებას კონტრაგენტების საშუალებით და შემდეგშიაც ამ წესით აპირებს მუშაობას.

ხალხის უზრუნველყოფისათვის სურსათის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა და საზოგადოდ კოოპერატივთა კავშირებს და ასეთ შეკავშირებაში დიდი მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საზოგადოებამ. მაგალითად მისის პირდაპირის მონაწილეობით ტეხნიკურად შეკავშირდნენ საკრედიტო დაწესებულებანი ზუგდიდის მაზრისა, შორაპნისა, გორისა და გურიისა, რომლებმაც მიზნად გაიხადეს სურსათის მოპოვება ხალხისათვის თავიანთ რაიონებში. საზოგადოებამ აღუთქვა კავშირებს ვაგონების მოპოვება სურსათის გადმოსაზიდად და სხვა გარეშე დახმარება, რომელ დაპირებასაც შეძლების კვალობაზე პირნათლად ასრულებს.

რათა დაახლოვებითი ცნობები ჰქონოდა ხელთ, ხალხის საჭიროების შესახებ საკვების მხრივ, საზოგადოებამ დაგზავნა საანკეტო ფურცლები. ამ მხრივ შეკრებილმა ცნობებმა ნათელ ჰყვეს რომ ხალხის გაჭირვება საქართველოში დიდი არის, მარტო 72 უკან მოსულ საანკეტო ფურცლის ვარაუდით, ამ 72 ადგილისათვის საჭიროა 2.158,000 სიმინდი და პური.

სხვა და სხვა კუთხის ერთმანეთთან და განსაკუთრებით ცენტრთან დასაკავშირებლად, ე. ი. მჭიდრო ორგანიზაციის შესაქმნელად, საზოგადოებამ განიზრახა თავისი განყოფილებების დაარსება სხვა და სხვა ადგილას. ამ აზრით საზოგადოების გამგეობამ განყოფილებები გახსნა 15 ადგილას: ბათუმსა, ქუთაისსა, ზუგდიდსა, ახალსენაკსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, სამტრედიასა, ზესტაფონსა, გორსა, ახალციხესა, ახალქალაქსა (ჯავახეთი), სიღნაღსა, თელავსა და ნახჩევანში (ერევნის გუბ.). ამ განყოფილებებს დავალებული აქვთ თავიანთ სამოქმედო რაიონებში იზრუნონ ხალხის სვებედზე. ყველა განყოფილება პირნათლად ასრულებს თავისს მოვალეობას, მაგრამ ხაზგასმით აღსანიშნავია დაუღალავი და ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა ბათუმის განყოფილებისა.

ყველა განყოფილებასთან არსებობს სარეგისტრაციო პუნქტები, რომელთაც დავალებული აქვთ ცნობები შეჰკრიბონ გადმოხვეწილთა და საერთოდ ომიანობისაგან დაზარალებულთა შესახებ.

საზოგადოების მთავარ გამგეობის დამხმარე ორგანოებს წარმოადგენენ სასურსათო კომისია, იურიდიული და საექიმო სექციები და ქალთა კომისია, რომელსაც ნაკისრები აქვს სამოსლებისა და ლოგინების დამზადება დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საზოგადოების მხრივ დახმარება დიდია, საქართველოს ყველა დაზარალებულ კუთხეში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოების მოქმედება სამაჰმადიანო საქართველოში. საზოგადოების გულწრფელმა და დაუღალავმა მუშაობამ ხსენებულ ადგილას საუკუნოების განმავლობაში ჩატეხილი ხიდი გაამთელა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის. გარდა წმიდა ზნეობრივი მხარისა, დახმარება იყო ქონებრივი, იურიდიული, და საექიმო. ზნეობრივმა თანაგრძნობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს მაჰმადიან ძმებში. კავშირი ქრისტიანე და მაჰმადიან ქართველთა შორის ამის შემდეგ თანდათან უფრო განმტკიცდება, რადგან ამ თვეშივე საზოგადოება სამაჰმადიანო საქართველოში რამდენიმე სასწავლებელს ხსნის, რომლებშიაც სწავლება ქართულს ენაზე იქნება და ამგვარად კავშირს ერთ მოძმეთა შორის საფუძვლად დაედება ეროვნული კულტურის ძალა.

საზოგადოების გამგეობის ენერგიას უნდა მიეწეროს, რომ ფულის მხრივაც საქველმოქმედო საზოგადოება უზრუნველ ყოფილია ამ ჟამად, განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს რომელიმე საზოგადოებას ასი ათასობით ფული ექნებოდა თავისს განკარგულებაში. და აი დაუჯერებელი ასრულდა: საზოგადოებას გადმოსცეს სხვა და სხვა სპეციალ დანიშნულებით მეფის ნაცვლის კანცელარიამ 25,000 მან., შინაგან საქმეთა სამინისტრომ 60,000 მან.. მისის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა 51,000 მან., გადმოხვეწილებზე მზრუნავმა კავკასიის კომიტეტმა 160,000 მან. და კერძო ორგანიზაციებისა და პირებისაგანაც არის წარმოგზავნილი 30—40 ათას მანეთამდე. ფულები კიდევ მოსდის საზოგადოებას, მხოლოდ სპეციალ დანიშნულებით, ასე რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ იქნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაქოსა და პეტროგრადის ქართველებმა დააარსეს კომიტეტები, რომელთა მიზანია დახმარება აღმოუჩინონ ომიანობისაგან დაზარალებულ ქართველებს. ორივე ეს კომიტეტი დიდ ქონებრივ და ზნეობრივ დახმარებას უწევს ჩვენს საქველმოქმედო საზოგადოებას.

ვუსურვებთ ამ ნორჩ და მაღალსიმპატიურ საზოგადოებას, უფრო მეტი სიმხნევით და ენერგიით ემოქმედნოს ამ 1916 წლის განმავლობაში ქართველ ერის საკეთილდღეოდ.

ლ. ლევანიძე.

## საკრედიტო კოოპერაცია

(აღმოსავლეთ საქართველოში)

(გაგრძელება)

ეხლა ვნახოთ, თუ რა ნაბიჯი გადადგა წინ ჩვენმა საკრედიტო კოოპერაციამ გასულ 1915 წელს. მსოფლიო ომმა ჩვენს კოოპერაციას მაშინ, მოასწრო როდესაც ეს ნორჩი საქმე ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა და დიდი ზიანი მიაყენა მის ზრდა-განვითარებას. თუნდაც იმით, რომ დიდი გამნელებელი ზედგავლენა მოახდინა სესხის გაცემის ოპერაციაზე. ამას გარდა ორი წლის ზედი-ზედმა მოუსავლობამაც თავისი დაუმატა. ამ მოვლენათა შედეგს ცხადად ვხედავთ: გაცემული სესხი ნახევარზე მეტი ახლა გლეხის ოჯახის

საწარმოვო საქმის დაკმაყოფილებას კი არ ხმარდება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ნორმალურს პირობებში, არამედ გლეხის ოჯახის გამოკვებას. ამ გაჭირვებულ დროში გლეხი ვერ ახერხებს თავის დროზე ვალის დაბრუნებას და ვადა-გადასული თამასუქები ყოველ კოოპერატივში თანდათან მრავლდება. კოოპერატივთა მოვალეების საგულისხმო რიცხვი დღეს ომშია გაყვანილი. მათ შორის ბევრიც დაიღუპა. ყველა ესენი ვალის გადახდას ვერ შესძლებენ; თუ შესძლეს ამ ვალის გადახდას უნდა შეეწიროს მათი ღარიბ ოჯახის უკანასკნელი ავლა-დიდება! და ამ მხრითაც კოოპერატივებს უთუოდ ზარალი მოელის. ყველა ამას შემდეგში ზეგავლენა ექნება და შეუძლია მძიმე დაღი დაასვას კოოპერაციის ნორმალურ განვითარებას. მხოლოდ ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, არ გვაძლევს საბუთს უიმედოთ ვუყუროთ მომავალს. თვითეული კოოპერატივი საკმაო ძალას იჩენს მედგრად გაუმკლავდეს დროებით მოვლენილს გაჭირვებას და, როგორც ამას ქვემოდ დავინახავთ, დიდ განსაცდელისაგან შედარებით უვნებლად გამოდის. ეს მოვლენა დიდათ მანუგეშებელია!

ჩვენი კოოპერაციისათვის საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს ის მოვლენა, რომ ამ წამში კოოპერატივთა საწარმოვო საშუალებათა თითქმის ნახევარზე მეტ ნაწილს იძლევა სახელმწიფო ბანკი, ჩვენმა კოოპერაციამ კი იმდენად ვერ განავითარა საკუთარ საშუალებათა წყაროები, რომ შესძლოს სახელმწიფო ბანკის დამოუკიდებლად იარსებოს. მაგრამ თუ დავუკვირდებით იმას, თუ როგორის პროპორციით იზრდება სხვა და სხვა წყარო ბალანსთან შედარებით, მაშინ დავინახავთ დიდ პროგრესს. მდგომარეობა ესეთია: სახელმწიფო ბანკის დახმარება (ძირითადი ნასესხები თანხა და მოკლე ვადიანი სესხი) შეადგენს კოოპერატივების საშუალებათა 53,5 პროცენტს, საკუთარი საშუალებანი (ძირითადი, საპაიო და საკუთარი თანხები, სათადარიგო და განსაკუთრებულ დანიშნულების თანხები)—10,7 პროც. მობარებული ფულები (Вклады)—25,7 პროც. და დანარჩენი თანხები (საშუამავლო ოპერაციებისთვის შემოტანილი, გარდამავალი თანხები და მოგება)—10,1 პროც. ამ მდგომარეობას ყურადღება რომ მივაქციოდ და შევადაროთ ამ საშუალებათა წყაროების ბალანსთან დამოკიდებულება ახლა იმ დამოკიდებულებას, როგორიც იყო წინა წლებში, თუნდ წინა თვეებში, მაშინ დავინახავთ, რომ ჩვენს კოოპერატივებს დიდი ნაბიჯი გადაუდგამთ წინ. წინა წლებში სახელმწიფო ბანკის დახმარება შეადგენდა მთელი ბალანსის თითქმის 90 პროც. მერე ეს რიცხვი თანდათან მცირდება. სამაგიეროთ იზრდება კოოპერატივთა მიერ საკუთარი ძალით ადგილობრივ აღმოჩენილი წყაროები, მობარებული ფულები. მაგალითად ავიღოთ თუნდ 1 იანვარს 1915 წ. მობარებული ფულების ბალანსის რიცხვი უდრიდა 325:442 მ. 47 კ. წლის განმავლობაში ასეთი ფული ახლად შემოვიდა 818.147 მან. 31 კ. იმავე დროს ამ ფულებიდან მომბარებლებმა უკან წაიღეს 406,159 მან. 65 კ. ამრიგად 1 ღვინობისთვეს ამ საშუალების ციფრი უდრის 737.430 მან. 13 კ. ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენაა! თუმცა სახელმწიფო ბანკის ფული კოოპერატივებს უფრო იაფად უჯდებათ (5 და 6 პროც.), სამაგიეროდ უკანასკნელთა ენერგიულ მუშაობით შექმნილ საშუალებათა წყარო ჯერ ხომ მეტს შეძლებას ანიჭებს მას, უფრო ხელსაყრელ პირობებში მოიხმაროს ეს ფული: მეტ და მოხდენილ ვადით გასცეს და უფრო სხვა საქმესაც მიჰყოს ხელი, როგორც მაგ. საშუამავლო ოპერაციაა. სახელმწიფო ფულის იაფობასაც საყოველთაო მნიშვნელობა არა აქვს; უმეტეს ნაწილად იმ ამხანაგობებთ, რომელნიც ქალაქებს დაშორებული არიან, სახელმწიფო ბანკის ფული იმდენივე უჯდებათ, რამდენიც ვადით შემოტანილი ფული, თითქმის 8 პროც. წლიურად. რადგანაც ბანკის ფულის მიტან-მოტანას დიდი ხარჯი უნდა. ამის გარდა ისიც გავიხსენოთ, ხანდიხან რა აუტანელ მძიმე, ტვირთად აწვებათ კოოპერატივებს ის მოთხოვნა ბანკისა, რომელიც შეეხება კოოპერატივის მიერ ყოველ წლიურად მოკლე ვადიან სესხის გასტუმრებას. ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ ამხანაგობა ენერგიულ მუშაობით თავის რაიონში სიცოცხლეს უსპობს მევახშეებს, რომლის კაპიტალიც დაბოლოს იმავე ამხანაგობაში მიდის 6, 6, 7 და 8 პროცენტები. ამ მხრივ კოოპერატივების საქმე როგორც დავინახეთ ზემომოყვანილ რიცხვებიდან, წინ მიდის, ამ გზაზე დაყენებული კოოპერატივები უთუოდ დიდ ენერგიას ხარჯავენ და ამის შედეგსაც ვხედავთ: საკუთარი თანხები და კოოპერატივთა მიერ ადგილობრივ შექმნილი საშუალებათა წყაროები თან და თან იზრდებიან. ეს მოვლენა იმასაც ჰმოწმობს, თუ რა ნდობა მოუპოვებიათ მათ სოფლად. რამდენათაც კოოპერატივი საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თვის მონაწილეთა ძალების შემწეობით თვითვე შექმნის საწარმოვო საშუალებათა წყაროს, იმდენათ ის მეტად და ნათლად მსახურებს კოოპერაციის **თვითდახმარების პრინციპს.** გავიმეორებ, ამ მხრივ მცირე რამ გაკეთებულა აქამდის, მაგრამ ხომ რამე გაკეთებულა მაინც!

(შემდეგი იქნება)

**დ. ჩ—ძე.**

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

ამას წინად ქუთაისში ჩამოვიდნენ თბილისელი ინჟენრები: ქურდიანი, მამრაძე და ლისიციანი. მათ ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება ჰქონდათ ტრამვაის გაყვანის, წყალსადენის მოწყობის და კანალიზაციის გაყვანის შესახებ.

— ქუთაისის მევინეობის კომიტეტში ვაზის სანერგის გამოწერა შესწყდება 1916 წ. 1 თებერვალს.

— დასავლეთ საქართველოს მევინეობა-მევენახეობის ინსტრუქტორების შეერთებული თათბირი მდგომარე ახალ წლის სამოქმედო გეგმის შესადგენად მოხდება 4 იანვარს.

**სოხუმი.**

ქალაქში შაქარი სრულებით აღარ იშოვება. ქალაქის გამგეობამ ზომები მიიღო შაქრის კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

**დ. ჩხარი.**

ქრისტეშობისთვეში აქ ტყემალი აყვავდა, რომელიც ეხლა უკვე მწიფეა და სხვა და სხვა ადგილებში გასასყიდათ გააქვთ.

**ბ ა ქ ო.**

ქალაქის მოურავმა ბიჩმა კავკასიის მეფის ნაცვალს დ რამდენიმე მინისტრს დეპეშით აცნობა: რადგან სპარსეთის კონსულს უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ბაქოდან და პეტროვსკიდან სპარსეთში გაზიდოს 200 ათასი ფუთი შაქარი, ეს მოვლენა საფრთხეს უქადის როგორც პეტროვსას დ ბაქოს ისე მთელ კავკასიას, და გამოიწვევს შაქრის კრიზისს, ამიტომ ქალაქის თავი თხოულობს, რომ კონსულს აეკრძალოს სპარსეთის საჭიროებისთვის შაქრის გატანა.

**ს. ნიკორწმინდა** (რაჭა).

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილებას სოფ. ნიკორწმინდაში დაარსოს უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო.

**სოფ. ჭომი** (იმერეთი).

მიწად-მოქმედების სამმართველომ შვიდი თუმნით დააჯარიმა სოფ. ჭომის მცხოვრები, სახაზინო ტყის მოჭრის გამო.

## სომეხთა ცხოვრება

— გასულ წელს სომხებს დიდი უბედურება დაატყდათ თავზე. ოსმალეთში მოსახლე სომხებიდან რვაასი ათასზე მეტი გაჟლეტილ იქმნა, ერთმა უდიდესმა ნაწილმა კიდევ თავი შეაფარა კავკასიის საზღვრებს. გასულ წელს სომხობამ ოსმალეთში ჟლეტის წინააღმდეგ აალაპარაკა ინგლისი, ამერიკა და სხვა მრავალი წვრიმალი სახელმწიფო. ინგლისში გამოქცეულთა სასარგებლოდ ფულის გროვებაც კი დაიწყეს.

საერთოდ დღეს გამოქცეულ სომეხთა მდგომარეობა უნუგეშო აღარ არის, მათ სასარგებლოდ ყოველ მხრიდან მოდის შემოწირულებანი.

ეხლა სომეხ საზოგადოების ყურადღება მიქცეულია სპარსეთისკენ, სადაც სომეხ მცხოვრებთ საფრთხე მოელის და საიდანაც სომხებმა გამოქცევა უკვე იწყეს. ოსმალეთში სომხებს ყოველ ვილაიეთში აჯანყებამ უქმად ჩაუარა და ჯერჯერობით ყველგან დამარცხებულ იქმნენ.

— ბაქოს ქართველმა მუშებმა სომეხ გამოქცეულთა სასარგებლოდ 27 მან. შესწირეს.

**გამოქცეულთა ჯამი.**

დღემდის კავკასიის საზღვრებისთვის თავი შეუფარებია სამასი ათასამდე სომეხ გამოქცეულს. სპარსეთში გაქცეულა 20,000 სომეხი.

ურმიიდან „ჰორიზონს" ატყობინებენ, რომ ამ ბოლო კვირაში იქ მოუკლავთ 7 აისორი. ეს მკვლელობა სხვა და სხვა გარემოებასთან ერთად იმისი მომასწავებელია, რომ მკვლელობას ჩადის ერთი და იგივე ორგანიზაცია. საფიქრებელია, რომ ეს ორგანიზაცია სპარსელთა ტერორისტებისა უნდა იყვეს. ამათ მიზნად უნდა ჰქონდეთ დასახული, რომ ქრისტიანებს გადაუხადონ სამაგიერო იმ თანაგრძნობისათვის, რაც ქრისტიანებმა რუსეთისადმი გამოიჩინეს. მკვლელთაგან არავინ არ დაუჭერიათო.

სომეხთა სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ საკოვმა 31 დეკემბერს სთხოვა სანოვაგის საქმის მოწყობის რწმუნებულს კავკასიაში ბ. შაშკოვსკის, რათა უკანასკნელმა დააჩქაროს დამშეულ სომეხთა სოფლების მცხოვრებლებისთვის ფქვილის მისაღებათ „ნარიადების" დანიშვნა.

— უკანასკნელი ცნობებით, რომელსაც იძლევა ქალაქთა კავშირის რწმუნებული ა. ათანასიანცი დღეს კავკასიაში ყოფილან სულ 164.000 გამოქცეული. ამათგან 100716 სული სცხოვრობს ერევნის გუბერნიაში; განჯისაში 11,840 სული, 7660 თბილისისაში; ქალაქ თბილისში კი 1,360 სული. ყარსის ოლქში 11,000, ბაქოს გუბერნიაში 900 სული, ალაშქერტის მიდამოებში 12,000 სული.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

გასულ 1915 წ. ფრიად საყურადღებო კვალი დასტოვა მაჰმადიანთა ცხოვრებაში. შარშან არაჩვეულებრივად ამოქმედდა თითქმის ყველა მაჰმადიანთა საზოგადოებანი. 1916 წ. საყურადღებოა ეროვნულ აღზრდის აუცილებლობა, შემდეგ მაჰმადიან მასწავლებელთა თათბირი, საზ. „ნიჯათი" და „ნაშრმუარიფის" მოქმედება, მაჰმადიანურ ჟურნალ-გაზეთების მოთხოვნილების გაზრდა.

მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედება. გასულ წელს ომმა დააზარალა მთელი ყარს-არდაგნის ოლქის მაჰმადიანები. საქველ-მოქმედო საზოგადოებამ მათ საშველად არაჩვეულებრივი ენერგია გამოიჩინა დაზარალებულთა მიაწოდეს, როგორც საკვები ისე სათბილო ტანისაცმელი, აგრეთვე ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ შარშან უყურადღებოდ არ დასტოვა აჭარლები. იქ გაგზავნილმა ექიმმა სულთანოვმა თითქმის მთელი აჭარა მოიარა და მცხოვრებთაც შეძლების დაგვარად დახმარებაც აღმოუჩინა.

## სხვა და სხვა ამბები

**ქ. ლვოვი.**

ქ. ლვოვში სამხედრო წესები გააუქმეს, ცხოვრება თანდათან მშვიდობიან კალაპოტში სდგება, ამჟამად ლვოვში წასვლა ყველას შეუძლიან.

**ყაჩაღობა.**

გაზეთ „Poster"-ში დაბეჭდილია წერილი პოლონეთის სამეფოში ყაჩაღობის შესახებ. ყაჩაღობა, სწერს გაზეთი, თუმცა შემცირდა მაგრამ, სავსებით ჯერ კიდევ არ მოისპოო. გერმანეთის სამოქალაქო და სამხედრო უწყებანი ყოველ ღონეს ხმარობენ მოთარეშე ყაჩაღთა ასალაგმავად.

**ავსტრია.**

ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ამ ბოლო ხანს დიდ ყურადღებას აქცევენ პოლონეთის საკითხს, ამის გამო მათ განსაკუთრებული შეკითხვითაც კი მიჰმართეს დეპ. დიამანდოს.

## რუსეთი

**შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებების გაფართოვება.**

კრიჟანოვსკის მეთაურობით შესდგა წრე, რომელსაც აზრად აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს მოუპოვოს უფლება წვრილმან საქმეების გადაწყვეტისა, რომელთაც ამ ჟამად უმაღლესი მთავრობა სწყვეტს.

**ელიზავეტგრადი.**

ამას წინად ელიზავეტგრადის საოლქო სასამართლომ გაარჩია კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის ვოზდვიჟევის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა მცირე წლოვან გლეხის ქალის ჩალსკის გაუპატიურება, სასამართლომ ვოზდვიჟევი დამნაშავეთ იცნო და $1^1/_2$ წელიწადი ციხე მიუსაჯა.

**სიძვირე.**

კიევის გუბერნატორმა ხუთი ვაჭარი სამ სამი თვით დაატუსაღა, პირველ-საჭიროების საგნების გადამალვისთვის და ძვირად გაყიდვისთვის.

მებრძოლ მოპირდაპირე სახელმწიფოთა შესახებ, რომელნიც რუსეთში მიწებს ჰფლობენ, ახალი კანონი გამოიცა.

## უცხოეთი

**ა მ ე რ ი კ ა.**

სამხრეთ შეერთებულ შტატებში ოფიციალად გამოცხადდა სამხედრო ფლოტის გაძლიერება, რომელსაც უნდა მიემატოს 10 დიდი გემი, 6 კრეისერი და 8 ზედრედნოუტი.

**ბერლინ-სტამბოლი.**

ამ დღეებში გამოქვეყნდა ბერლინ-სტამბოლის შუა მიმოსვლის, რკინის გზათა შეთანხმების პროექტი. რკინის გზის სერბეთის ნაწილი პრუსიის რკინის გზის სამხედრო სამმართველოს ხელშია, რომელიც იმყოფება სემენდრაში. ბერლინ-სტამბოლის რკინის გზის ყველა საქმე ჰუნგრეთის რკინის გზის დირექციის ხელშია. ბალკანეთის ყველა სადგურებისთვის 1—2 კლასის ბილეთები იყიდება ბერლინში და სხვა ქალაქებში. ბილეთი ვარგა 15 დღეს. ყველა ბილეთებზე დაკრულია შტემპელი „ბალკანეთის რკინის გზა", უამისოდ ბილეთი არ გამოდგება.

ბილეთის ასაღებად საჭიროა პასპორტის გარდა კომენდანტისა და გენ. მაკენზენის შტაბიდან მოგზაურობის ნებართვა.

შეიძლება წაიღონ მხოლოდ აუცილებელი ნივთები. ბარგს გაჩხრეკავენ სასტიკად იმ სადგურებზე, საიდანაც გადიხართ და სადაც მიდიხართ. რკინის გზის იმ ადგილებზე, სადაც სამხედრო წეს-წყობილებაა გამოცხადებული მოგზაური და მისი ბარგი უზრუნველყოფილი არ არიან მთავრობის მხრით თუ რაიმე ხიფათი შეემთხვევათ. რკინის გზის სიგრძე 2453 კილომეტრია.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ | „ |

**საღ გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управлении Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія — Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre — Genève.

## ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო

**თბილისის № 24 საწყაოს და სასწორისი შემმოწმებელი**

# პ ა ლ ა ტ ა

(მიხაილოვის პროსპ. № 117)

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემმოწმებელის პალატის ბეჭედი.

**ამ ბეჭედს ძალა აქვს სამი წლის განმავლობაში.**

ამიტომ პალატა ითხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, საქენები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები; ბოჭკები წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა, ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება და იწონება.

**ბეჭდიანი თუ უბეჭდო 1913 წლამდე და ამ წლისაც.**

ბეჭდების დასასმელად ზოგი ახლად, ზოგსაც სულ მეორედ. ვინც ამას არ შეასრულებს ვადის გათავებამდინ, რევიზიის დროს იმნაირ ბეჭდიანი, თუ უბეჭდო, გამოერთმევა ყველა საწყაო, საწონი და საზომი და პასუხის-გებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-1176 მუხლის ძალით. საწყაო, საზომი და საწონი სწორე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაეკვრება და გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული.

ვადები თბილისისთვის 1916 წელს,

იანვარში და თებერვალში—1, 2, 3 და 4, ნაწილები,
თებერვალში და მარტში—5,6, 7 და 8 ნაწილებში
მარტში და აპრილში—9, 10, 11 და 12 ნაწილებში.

**შემდეგ ადგილებისთვის, სადაც შემმოწმებელი გაიგზავნება**

აპრილის თვეები: სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ტყვიბული და ხონი.
მაისში „ ზუგდიდი, ხონი და ანაკლია
თიბათვეში „ სამტრედია, შულავერი და ეკატერინოფელდი.
მკათათვეში: ახალციხე, ახალქალაქი, დუშეთი, თელავი და სიღნაღი.
მარიამობის „ გორი.

იანვარი 1916 წ. — პალატის გამგე **ა. რეზვიაკოვი.**

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

# „ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.